ჩვენი თაობა

№2, აპრილი, 2013 წელი

იძულებით გადაადგილებული
მოსწავლე-ახალგაზრდობის გაზეთი

# „ეკლესიის ზარების რეკვა მთელ სოფელში ისმის და ხალხს ქვეყნისა და ერის სასიკეთო მოღვაწეობისაკენ მოუწოდებს“

*16 მარტს, აფხაზეთის მე-14 და დიდინეძის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ჯგუფი წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერს ესტუმრა, რომელიც მდებარეობს სოფელ დიდინეძის შემოსასვლელში, მას მყუდროდ, მოკრძალებულად უკავია პატარა ადგილი და თავისი მადლით იცავს სოფელს.*





*ეკლესია-მონასტრის აღმშენებლობის დიდი საპასუხისმგებლო მისია უფალმა დააკისრა დიდინეძის მკვიდრს, ღირსეულ პიროვნებას, ბატონ ბორის კუკავას. იგი ასე გვიყვება ეკლესიის დაარსების ისტორიას:*

„ფიქრი ეკლესიის აღმშენებლობაზე დაიწყო 1990 წელს ხობის რაიონის სოფელ ხამისკურის ტერიტორიაზე, სადაც ჩვენი წინაპრების საძვალე იყო. მამაჩემის გადმოცემით ამ ტერიტორიაზე მდგარა წმ.გიორგის სახელობის ხის ეკლესია, სადაც ლოცულობდნენ ჩვენი წინაპრები. პატარაობისას მამაჩემს დავყავდით ყოველი წლის 23 ნოემბერს სანთლებითა და ძღვენით ხელში, მაგრამ იქ მხოლოდ ეკლესიის ნანგრევებიღა იყო შემორჩენილი. მახსოვს, დროთა განმავლობაში ნაეკლესიარის ფართი მიცვალებულთა საფლავებით შემცირდა და ახალი ეკლესიის აშენება შეუძლებელი იყო. 1997 წელს ზუგდიდისა და ცაიშის მწყემსმთავრის, *მეუფე გერასიმეს* ლოცვა-კურთხევით და სოფელ დიდინეძის გამგეობასთან შეთანხმებით, დავიწყეთ მოსამზადებელი სამუშაოები, ხოლო 1998 წელს იკურთხა ტაძრის საძირკველი და მშენებლობაც განახლდა.

ტაძრის პროექტირების ავტორი გახლავთ საპატრიარქოს განყოფილების მთავარი არქიტექტორი, ბატონი *რეზო ჯანამია*. არქიტექტურული ორნამენტები შეასრულა ხევსურეთის მკვიდრმა, ბატონმა – *პაატა გიგაურმა*. სრულიად საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით გადაწყდა, რომ აღნიშნული ეკლესია გახდეს მამათა მონასტერი. ტაძრის ეზოში აიგო კეთილმოწყობილი სამონასტრო კომპლექსი. მეუფე გერასიმეს ლოცვა-კურთხევით ტაძრის წინამძღოლი იყო მღვდელი *ზაბულონი (ქობალია).*

მადლობა უფალს, რომ მონასტერს მრევლი დღითი დღე ემატება. იგი წამოადგენს ახალგაზრდობის სულიერი და ზნეობრივი აღზრდის მნიშვნელოვან კერას. ეკლესიის ზარების რეკვა მთელ სოფელში ისმის და ხალხს ქვეყნისა და ერის სასიკეთოდ მოღვაწეობისაკენ მოუწოდებს.

*მოამზადა*
*თეკლე იაკუბანიამ,*
*აფხაზეთის*
*მე-14 საჯარო სკოლ*

# „ჩადებული თესლი უკვალოდ არ ქრება“

აფხაზეთის მთავრობის ხელმძღვანელად სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ბატონი *ოთარ გოგოხია* დაინიშნა.

*– მოგესალმებით, მოგვიყევით ცოტა რამ თქვენზე...*

– დავიბადე გალის რაიონის სოფელ აჩიგვარაში. დავამთავრე ამავე სოფლის „სავხოზ ტექნიკუმის“ სკოლა. ვმსახურობდი ჯარში ლენინგრადში. დავიწყე მუშაობა გაგრის მილიციაში. 1978 წელს კალინინგრადის მილიციის სკოლაში ჩავაბარე, რომელიც დავამთავრე 1980 წელს. ვმუშაობდი სხვადასხვა თანამდებობაზე მილიციაში. 1987 წელს ჩავირიცხე მოსკოვის მილიციის უმაღლეს სკოლაში და დავამთავრე 1992 წელს. დევნილობის წლებში ვმუშაობდი აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში, ვიყავი აფხაზეთის საბაჟოს უფროსი თბილისში, გარკვეული პერიოდი გალის სამმართველოს უფროსად ვმუშაობდი ზუგდიდში, შემდეგ თბილისში, გლდანი-ნაძალადევის მილიციის განყოფილების უფროსი ვიყავი და გავედი პენსიაზე. ახლა დავინიშნე აქ და ვხელმძღვანელობ აფხაზეთის მთავრობას სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში.


ოთარ გოგოხია

*– რა მიზნები გაქვთ სამომავლოდ?*

– ჩემი მიზანია დავეხმარო დევნილი მოსახლეობის გვერდით. მე შევხვდები თითოეულ დევნილს, მათ მოსასმენად მზად ვარ დღის ნებისმიერ მონაკვეთში, ყველასთვის ხელმისაწვდომია აგრეთვე დანიშვნის დღიდან ჩემი ტელეფონი. ყოველნაირად ვეცდები მოვნახო გზები, რათა ერთად შევძლოთ ვიპოვოთ გამოსავალი უკეთესი მომავლისათვის. არ დავტოვებ დევნილთა არცერთ ჩასახლებას და ჩავუტარებთ უფასო სამედიცინო გამოკვლევებს. რომელიც უკვე წამოწყებულიც გვაქვს.


გურანდა კვიტია

*– რას უსურვებთ მოსწავლე-ახალგაზრდობის გაზეთს „ჩვენი თაობა“?*

– მინდა იცოდნენ, რომ პირველ რიგში დიდ პატივს ვცემ ახალგაზრდებს და ასეთ სასიკეთო ნაბიჯებს მივესალმები. შევხვდები რედკოლეგიას, ჩვენს ნიჭიერ, ნორჩი თაობის წარმომადგენლებს და სიამოვნებით გავიზიარებ მათ მოსაზრებას ხვალინდელი უკეთესი დღის დაგეგმვაში. გისურვებთ წარმატებებს და მინდა იცოდეთ „ჩადებული თესლი უკვალოდ არ ქრება“. მჯერა, რომ ეს გაზეთი იქნება თქვენი წარმატების ერთ-ერთი საწინდარიც.

*მოამზადა*
*გურანდა კვიტიამ*

# თეონა ხუფენია: „ უნივერსიტეტის მთავარი ღირსება – ხარისხიანი განათლება და თბილი ურთიერთობები“


თეონა ხუფენია

*მესხიას უნივერსიტეტის რექტორი, ქალბატონი **თეონა ხუფენია**, ყველაზე განათლებული და უბრალო ადამიანიაო გამიგონია და თავადაც დავრწმუნდი მასთან საუბრისას. ის საკუთარ თავზე არასდროს საუბრობს. აი, სტუდენტებზე კი დაუღალავად.*

*– თქვენი უნივერსიტეტი რითია გამორჩეული სხვა უნივერსიტეტებისგან?*

– უნივერსიტეტის მთავარი ღირსება ხარისხიანი განათლება და თბილი ურთიერთობებია. ვფიქრობ, რომ ნებისმიერ სტუდენტს სჭირდება კარგი ურთიერთობა თავის პედაგოგებთან და ჩვენი პედაგოგებიც ყველანაირად ცდილობენ, მათთან ახლო ურთიერთობა ჰქონდეთ. ყველაზე მეტ ყურადღებას ვუთმობთ სოციალურად დაუცველ და იძულებით გადაადგილებულ სტუდენტებს. ვზრუნავთ, რომ სტუდენტებმა რაც შეიძლება ნაკლები თანხა დახარჯონ და ვცდილობთ ყველანაირად ხელი შევუწყოთ.


ელმირა ალფენიძე

*– რა პროგრამები აქვს უნივერსიტეტს?*

– უნივერსიტეტს აქვს გაცვლითი პროგრამები. გამორჩეულია იმითაც, რომ ნებისმიერი ასაკის ადამიანს შეუძლია განათლების მიღება. უნივერსიტეტში აგრეთვე არის დასაქმების პროგრამებიც. სტუდენტებს შეეძლიათ ისწავლონ და იმუშაონ, რადგანაც გვაქვს სადღეღამისო სახელოსნოც. ვფიქრობთ, ახალი ფაკულტეტის შექმნაზეც. ეს არის სასტუმროს მენეჯმენტი.

*– რომელი ფაკულტეტებია ბოლო წლებში პრიორიტეტული?*

– სამართალი, უცხო ენა და ლიტერატურა, ასევე საკმაოდ აქტუალურია ფილოლოგიური და ფარმაციული. თუმცა მიმაჩნია, რომ ყველა ფაკულტეტი პრიორიტეტულია, გააჩნია ცხოვრებაში როგორ გამოიყენებ.

*– მოგვიყევით თქვენს შვილებზე.*

– მე ვარ მხოლოდ მათი დედა. მინდა მათ ყველაფერს მიაღწიონ თავიანთი ნიჭით და არა თეონა ხუფენიათი.

*– რას უსურვებთ ჩვენს გაზეთს?*

– ვუსურვებ წარმატებებს, იწერებოდეს სუფთა ქართულით და იყოს მართალი სიტყვის მეგზური.

*მოამზადა ელმირა ალფენიძემ,*
*აფხაზეთის მე-14 საჯარო ს...*

# მანანა გვარამია: „სამსახური ჩემთვის ყველაფერია"

*ჩვენთან საუბრობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორი მანანა გვარამია*

*— მოგვიყევით თქვენს ოჯახსა და წარმომავლობაზე.*

— მამა ბუღალტერი იყო, დედა-დიასახლისი. სამწუხაროდ, მამა ადრე გარდაიცვალა. დედა კი 90 წლისაა. მყავს ორი ძმა. მშობლები დიდ პატივს სცემდნენ განათლებას და მიუხედავად



სურათზე: მარცხნიდან მარჯვნივ *მანანა გვარამია და იუდით ხაზალია*

იმისა, რომ მდიდარი ოჯახიდან არ ვარ, ისინი წელზე ფეხს იდგამდნენ და სამივემ — და-ძმებმა, უმაღლესი განათლება მივიღეთ. ჩემთვის სამსახური ყველაფერია. საკუთარი ოჯახი არ მაქვს და სოფელ ზედაეწერში ძმასთან, რძალთან და პატარა ძმიშვილთან ერთად ვცხოვრობ, რომელიც 3 წლისაა.

*— რა განათლება მიიღეთ?*

— დავამთავრე ზედაეწერის საშუალო სკოლა და მაშინდელი პუშკინის ინსტიტუტი. ბიბლოთეკათმცოდნეობა, ბიბლიოგრაფიის განხრით. ამჟამად ეს სასწავლებელი უნივერსიტეტია და ილია ჭავჭავაძის სახელობისაა, ხოლო ჩემი ფაკულტეტი საერთოდ გაუქმდა, რადგან აღარ აქვთ ამ პროფესიის დაუფლების სურვილი.

*— რომელ წელს და ვისი თაოსნობით დაარსდა პირველი ბიბლიოთეკა?*

— თოხაძის სტამბაში იყო მოწყობილი სამკითხველო, მაგრამ 1899 წელს შეიქმნა საქველმოქმედო ორგანიზაცია და შემოწირულობებით აშენდა ბიბლიოთეკა. 1912 წელს ააგეს ქვის შენობა. მის ოფიციალურ გახსნაზე დაპატიჟეს აკაკი წერეთელი და მისი მოღვაწეობის 50 წლის იუბილე აღნიშნეს. აღსანიშნავია, რომ ბიბლიოთეკისა და თეატრის ისტორია ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, რადგანაც 1999 წელს დაიდგა რაფიელ ერისთავის „გაყრა", ხოლო იქიდან შემოსული 125 მანეთით, შეძენილ იქნა ბიბლიოთეკისთვის საჭირო ინვენტარი.

*— რამდენი თანამშრომელი ჰყავს ბიბლიოთეკას?*

— ცენტრალურ ბიბლიოთეკაში სულ 28 თანამშრომელია, ხოლო ზუგდიდის რაიონში 17 ბიბლიოთეკაა, რომელიც ცენტრალურ ბიბლიოთეკას ექვემდებარება.

*— რა სამომავლო გეგმები აქვს ბიბლიოთეკას?*

— ბიბლიოთეკა გარდატეხის პროცესშია, რადგან ხდება ახალი ტექნოლოგიების დანერგვა (ელექტრონული, ციფრული, კომპიუტერული) ანუ წიგნებთან ერთად შემოდის ელექტრონული ინფორმაციები. გვაქვს ელექტრონული კატალოგი, რომელშიც ყველა ახალი წიგნი შეტანილია, ძველების შეტანაც ნელ-ნელა მოხდება. მკითხველისთვის კატალოგი მოხერხებულია იმითაც, რომ შეუძლია სახლიდან გაუსვლელად გაიგოს – რა წიგნებია ბიბლიოთეკაში და დაჯავშნოს. უკვე მესამე წელია, ივნისის თვეში იმართება „ვეფხისტყაოსნის" საჯარო კითხვა. ასევე მოვაწყვეთ ცოცხალი ბიბლიოთეკა ღია ცის ქვეშ ანუ მოვიწვიეთ საინტერესო ადამიანები, რასაც მკითხველთა მხრიდან დიდი ინტერესი მოჰყვა. ზეპირი ღონისძიების დროს მკითხველები დიალოგში შედიან წარმატებულ ადამიანებთან და ინფორმაციას იღებენ მათთვის საინტერესო საკითხებზე. ეს ხელს უწყობს ზეპირი ინფორმაციის გავრცელებას.

*საუბარი ჩაიწერა*
*იუდით ხაზალიამ,*
*აფხაზეთის 14-საჯარო სკოლა*

# ამერიკული კუთხე ზუგდიდში
# The American corner in Zugdidi




ამერიკული კუთხე წარმადგენს ამერიკული სტილის ბიბლიოთეკას, რომელიც შეიქმნა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მეგობრული ურთიერთობის გასაღრმავებლად. ამერიკულ კუთხეს კოორდინირებას უწევს ამერიკის საელჩო და ის აწვდის ქართველ ახალგაზრდობას ინფორმაციას ამერიკულ კულტურასა და ისტორიაზე. ამერიკული კუთხის კოორდინატორი არის *სოფო კვარაცხელია*. ამერიკული კუთხე ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

The American corner in Zugdidi is an American-style library created in Zugdidi Central Library to help increase mutual understanding between Georgia and United States by providing Georgian youth information about U.S. culture and history.American Corner Coordinator is Sopho Kvaratskhelia.Access to American Corners and their collections is free and open to all interested citizens of Georgia.

*ამერიკული კუთხე გთავაზობთ:*
***American Cornen offers:***

* საბიბლიოთეკო მომსახურებას: წიგნები და ჟურნალები, ელექტრონული წყაროები, აუდიო და ვიდეო ჩანაწერები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერები, თემატური გამოფენები.
Library Services: books and periodicals, CD-ROMs, DVD and audio cassettes, Computers and internet access, Paper shows on various topics.

* კულტურულ და საგანმანათლებლო ღონისძიებებს:
Cultural and Educational Events:

* ლექციები და სემინარები, ინგლისური ენის გაკვეთილები, სადისკუსიო ჯგუფები, წიგნის მოყვარულთა და კინო კლუბები, მუსიკალური საღამოები.
Lectures and workshops, English language classes, Discussion groups,Book and Movie clubs, Musical Evenings.

ვიდეო ჩვენებებს:
Video Shows:

ამერიკული კლასიკა, დოკუმენტური ფილმები.
American Classics, Documentaries.

პროექტები:
Projects:

საზაფხულო სკოლა-2011-2012
Summer School-2011-2012

# ნანა ქვარაია: „ მე არ ვარ კრიტიკოსი,უბრალოდ ვთვლი, რომ ახალი თაობა განსხვავებულია''


ნანა ქვარაია

*ნანა ქვარაია მათემატიკას აფხაზეთის მე-16 საჯარო სკოლაში ასწავლის. ეს დიდი პასუხისმგებლობაა.*

*— გვიამბეთ თქვენს შესახებ.*

— მე ვარ ნანა ქვარაია. პროფესიით მათემატიკოსი. ვმუშაობ აფხაზეთის მე-16 საჯარო სკოლაში. ეს ტერიტორია ოკუპირებულია. საჯარო სკოლა სულ ორია აფხაზეთში, მე-16 საჯარო (ოტობაიის №2 საშუალო) სკოლა და მე-13 საჯარო (ნაბაკევის საშუალო) სკოლა. აფხაზეთში არსებული ყველა დანარჩენი სკოლა საშუალოა. ქართულენოვანია ჩვენი სკოლა და ჯერჯერობით არავინ გვიშლის, ქართულ ენაზე სწავლებას. მე 23 წელია ვმუშაობ და ამჟამად ცოტა მიჭირს გადასვლა. პრობლემები მექმნება რუსებთან, მაგრამ ეს იშვიათად ხდება.

*— როდის გადაწყვიტეთ პედაგოგი გამხდარიყავით?*

— თავიდან ვიყავი ინჟინერი, დავამთავრე პოლიტექნიკური ინსტიტუტი, მშენებელ-ინჟინერის კვალიფიკაციით და ვმუშაობდი მე-12 სამშენებლო ტრესტში, შემდეგ ღედაჩემის სურვილიც იყო და გადავწყვიტე, პედაგოგი გავმხდარიყავი. 2000 წელს დავამთავრე ზღვ ფიზიკა-მათემატიკის სპეციალობით.

*— რა დადებით მხარეებს ხედავთ ჩვენს თაობაში?*

— მე არ ვარ კრიტიკოსი, უბრალოდ ვთვლი, რომ ახალი თაობა განსხვავებულია.


ელენე წითამფილი

*— რამდენად გხიამოვნებთ ახალგაზრდებთან ურთიერთობა?*

— მათთან ასაკი მავიწყდება. ვთვლი, რომ მათთან კომუნიკაბელური ვარ. მე მინდა თქვენთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდეთ აფხაზეთის სკოლის მოსწავლეებს. ისინი თქვენგან განსხვავებულები არიან იმით, რომ იქ არიან და აქაური გზა არ აკავშირებთ თქვენთან.

*— და ბოლოს რას უსურვებდით ჩვენს გაზეთს?*

— წინსვლას და ბევრ მკითხველს.

*მოამზადა*
*ელენე წითამ*
*ორსანტიის საჯარო ს*

# „ვიცხოვროთ ისე, როგორც ქართველობას შეეფერება"



ქესო ვეჯუა

*ქესო ვეჯუა ლიბერთი ბანკის მოლარე ოპერატორია. ამ ახალგაზრდას ცხოვრება ძიების, მიზნისკენ სწრაფვის მაგალითია.*

*– მოგვიყევით თქვენზე, როგორი ბავშვობა გქონდათ?*

– დავიბადე აფხაზეთში, ტრადიციულ ქართულ ოჯახში. საკმაოდ რთული ბავშვობა მქონდა. დევნილობამ თავისებური დაღი დაასვა ჩემი და ჩემი თანატოლების ცხოვრებას. დევნილობის გამო მომიწია რამოდენიმე სკოლის გამოცვლამ, თუმცა საბოლოოდ დავამთავრე მშობლიური ოტობაიის 1 საშუალო სკოლა. მეამაყება, რომ ისეთ ვითარებაში, როცა ქართული ცნობიერებით ცხოვრება გვეკრძალებოდა აფხაზეთში, ჩემი მშობლები ქართული სულისკვეთებით გვზრდიდნენ. ამაზე მამაჩემის სიტყვები მახსენდება „ვიცხოვროთ ისე, როგორც ქართველობას შეეფერებაო". ჩვენც ასეთ ცხოვრებას გვასწავლიდა და გვაჩვევდა.

*– ამჟამად რას საქმიანობთ?*

– 2012 წელს დავამთავრე შ. მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფილოლოგიის ფაკულტეტი. იმ პერიოდში არაერთხელ მიმიღია მონაწილეობა შიდა საუნივერსიტეტო მაგისტრანტთა და დოქტორანტთა რესპუბლიკურ კონფერენციებში. ახლა ვსწავლობ აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მაგისტრატურაზე, ენათმცოდნეობის ფაკულტეტზე. ასევე ვმუშაობ ლიბერთი ბანკში მოლარე-ოპერატორის პოზიციაზე. იმავდროულად ზუგდიდის წმ.გიორგის სახელობის სასულიერო გიმნაზიაში გავდივარ პრაქტიკას და ვარ ქართული ენისა და ლიტერატურის რეზერვისტ-მასწავლებელი.

*– განსხვავებული სპეციალობაა გაქვთ – ბანკში მუშაობთ, როგორ მოხდა ეს, არ გიჭირთ?*

– მარტივი არაფერია ცხოვრებაში... ჩემი ძირითადი პრობლემა კი დროა... ბოლო კურსის სტუდენტი ვიყავი და პარალელურად ბუღალტერიისა და კომპიუტერის კურსები გავიარე. ზუსტად იმ დროს, როცა უნივერსიტეტს ვამთავრებდი, ბანკში ტესტირება და გასაუბრება გავიარე, თბილისში ორთვიანი სტაჟირების დამთავრებისთანავე დავიწყე მუშაობა ზუგდიდში. სტუდენტებისათვის დამეთანხმებით, რომ ნებისმიერი თანხა, საკუთარი შრომით შეძენილი, ძალიან მნიშვნელოვანია. მინდა გითხრათ, ის რომ ვინც წარმატების მარცვალს მიაღწია, მე არ ვარ, ეს უფლის წყალობაა ჩემზე.



დიანა ესართია

*– და ბოლოს რას გვეტყოდით?*

– გზა გასავლელი გავიაროთ სიკეთით, რათა ბოლოს ღვთიური მადლი მივიღოთ. მამაჩემის სიტყვები კი დღემდე მახსოვს, რომელიც ჩემს შთამომავლობას უნდა გადავცე- „ვიცხოვროთ ისე, როგორც ქართველობას შეეფერება."

*მოამზადა დიანა ესართიამ,*
*აფხაზეთის მე-14 საჯარო სკოლა*

# ასმათ ხუბულავა: „მადლობა უფალს, რომ მომცა საშუალება ჩემს ხალხს მოვეფერო"



ასმათ ხუბულავა

*„ზუგდიდელთა ჯანმრთელობის კავშირს" წლებია ხელმძღვანელობს ქალბატონი ასმათ ხუბულავა, რომელიც ჩვენი გაზეთის სტუმარია.*

*– საიდან აქვს ფესვები ასმათ ხუბულავას, მოგვიყევით თქვენს ოჯახზე.*

– დავიბადე და გავიზარდე ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭაქვინჯში. დედა ექიმი იყო, რომელიც მრავალი წელი ემსახურებოდა სოფელს. მამა კი დამსახურებული აგრონომი გახლდათ. ასე, რომ გავიზარდე ინტელიგენტთა ოჯახში, სწორედ იქიდან მომყვება მიზანდასახულობა და შრომისმოყვარეობა. მყავს მეუღლე, ორი შვილი და ერთი შვილიშვილი.

*– რამდენი წელია ხალხს ემსახურებით?*

– 1979 წლიდან ვმუშაობდი სხვასხვა ადგილას, 1979-1985 წლებში ვმუშაობდი მასწავლებლად, 1985-1989 წლებში განათლების განყოფილებაში სასკოლო ინსპექტორად. 2000-2002 წლებში ვიყავი პედაგოგთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარის მოადგილე. 2002 წელს დავაფუძნე ორგანიზაცია „ზუგდიდელთა ჯანმრთელობის კავშირი" და დღემდე ვარ ამ ორგანიზაციის თავმჯდომარე.

*– რამდენი ადამიანია გაერთიანებული ამ ორგანიზაციაში?*

– თავდაპირველად ორგანიზაციაში იყო 600 ადამიანი, დღეისთვის კი მათი რიცხვი 12000-ია.

*– რამ განაპირობა წევრთა კოლოსალური ზრდა და რა პირობებს სთავაზობს ორგანიზაცია ბენეფიციარებს?*

– ზრდა განპირობებულია იმით, რომ პროგრამამ შეასრულა თავისი ვალდებულება, ანუ შესთავაზა მომხმარებლებს ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება. ისინი თავად ირჩევენ სასურველ სამედიცინო პერსონალს. მომსახურების პაკეტი მოქმედებს მაღალი ხარისხის დიაგნოსტიკურ ცენტრებში (კურაციო, პედიატრი, კურაციო+, სანუსი, მედიკი და გინეკოლოგიური კლინიკა). აღსანიშნავია, რომ პაკეტი არის საოჯახო, ამიტომ მხოლოდ 3000-მდე ადამიანი იხდის საწევრო შემონატანს. დანარჩენებისთვის მომსახურება არის უფასო. ორგანიზაცია ბენეფიციალებს სთავაზობს დასასვენებელ საგზურებს ფასდაკლებით ყველა სამკურნალო კურორტზე, ასევე კვალიფი-



მაია თოდუა

ციური სტომატოლოგის, მასაჟისტისა და სტილისტის მომსახურებას.

*– კმაყოფილი ხართ თუ არა ამ ორგანიზაციის შექმნით?*

– უფლის მადლობელი ვარ იმიტომ, რომ ჩემი ადგილი მაპოვნინა, მაქვს საშუალება ჩემს ხალხს მოვეფერო, მათ აქედან სითბო და სიყვარული მიჰყვებათ, დიდი მადლობა ჩემს ოჯახს, რომლებიც ყველანაირად ხელს მიწყობენ სამსახურებრივ წინსვლაში. უფალი იყოს სრულიად საქართველოს მფარველი!

*მაია თოდ...*
*აღ...*
*მე-14 საჯარო...*

ახალი სახეები

# ბაგრატ ბახტაძე: „სიტყვა ნათლისღების ამოუცნობია“



ბაგრატ ბახტაძე

ზუგდიდის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე ქალაქსა და რაიონში ერთადერთი სკოლისგარეშე მრავალპროფილიანი სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც ემსახურება მოზარდთა ინტელექტუალურ, ზნეობრივ და სულიერ განვითარებას და აქტიურადაა ჩართული ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ბავშვთა ორგანიზაცია „ოდაბადემ" 12 მარტს არტგალერეაში ჩაატარა ღონისძიება „ახალი სახეები", სადაც მე-10 საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე ბაგრატ ბახტაძე საკუთარი შემოქმედებით მსმენელის წინაშე წარსდგა. იგი ლექსებს დაახლოებით მე-7 კლასიდან წერს. სწავლის გაგრძელებას აპირებს თეატრალური განხრით. ცდილობს ითამაშოს ისეთი როლები, რომლებიც მის ხასიათს არ შეესაბამება. გაგაცნობთ ერთ-ერთ ლექსს მისი შემოქმედებიდან.

* * *

ბარძიმში ამოსულო სუნთქვავ მიწიერო!
სინათლემოფენილი სიმართლენი ფანჯრებს
რომ ახრჩობენ,
გეძახი... დალონებით სულო ღვთისნიერო,
ცეკვა მეჯლისთა გაორებულ ღამეს.
სიკვდილი ეტრატზე ფიქრებად დამიტევს,
ლოცვა ყიჟინათა ცხრაჯერ მუხლმოყრილი,
გამოგონილი ზიარებით ლოცვა დიდებასთან
ამოუსუნთქავადაც მაგიჟებს.
მთვარევ, განანათე წყვდიადს შეყოლილნი,
მჟოთი სიბერის, გვემა-ნათლიმამა,
სიტყვებს ააყოლე ქცევით აცრეცილი,
სონეტისმაგვარი სერენადა.
ტილო ნაოჭების გამოუცდელად გამოცდილი,
სხივი თვითგვემასთან სიამედ შეყოლილი,
მხრებზე დაწოლილი კურთხევა ღმერთებთან
და
კვალდაკვალ ნაგლეჯი შაოლინი.
ხელზე ნაოჭებს ღვინის სურნელი აქვთ,
დამურული ტუჩებიდან ბრძოლა როკვის
ზარებით,
სიტყვა ნათლისღების ამოუცნობია,
ლოცვად მუხლმოყრილნი გვემულთ
ვეზიარებით.
მთვარევ!.. – განანათე წყვდიადს შეყოლილნი,
მჟოთი სიბერის გვემა-ნათლიმამა,
სიტყვებს ააყოლე ქცევით აცრეცილი
ნდობით, ღირსებით შექმნილი სერენადა.
ბარძიმში ამოსულო, სუნთქვა მიწიერო!
სინათლემოფენილი სიმართლენი ფანჯრებსაც
ახრჩობენ,
გეძახი... დაჟინებით სულო ღვთისნიერო,
მობის ლოცვისას ერთადერთი სუნთქვა გამა
გონე.
ხელზე ნაოჭებს ღვინის სურნელი აქვთ,
დამურული ტუჩებიდან ბრძოლა როკვის
ზარებით,
სიტყვა ნათლისღების ამოუცნობია,
ტანჯვა წარსულიდან-დაღლილნი ვეზიარებით...

# ნატო წითაშვილი: „ჩემთვის ყველაზე დიდი ჯილდო მოსწავლეების ჩემდამი დიდი სიყვარულია"

*ჩვენი გაზეთის სტუმარია პედაგოგი ნატო წითაშვილი*



ნატო წითაშვილი

*– რამ გადაგაწყვეტინათ გამხდარიყავით მასწავლებელი?*

– განსაკუთრებული ინტერესი არ მქონია, მაგრამ გადაწყვეტილება სკოლის დამთავრებისთანავე მივიღე. ისტორიულზე კი იმიტომ, ჩავაბარე, რომ ისტორია მიზიდავდა.

*– რა შეიცვალა თქვენი და ახლანდელი თაობის მასწავლებლებს შორის?*

– ჩვენი დროის მასწავლებლები უფრო ავტორიტარულები იყვნენ, დღევანდელობაში კი თანდათანობით იხვეწება დემოკრატიული მართვის სტილი, ეს კარგი მიდგომაა, რომელიც ეფუძნება მოსწავლე-მასწავლებლის თანაბარუფლებიანობას, მასწავლებელი თითოეული მოსწავლის აზრს აფასებს და აძლევს დამოუკიდებლობის თვითგამოხატვის შესაძლებლობას.



ლენა წითაშვილი

*– ხომ არ ნანობთ პროფესიის არჩევას?*

– მე ბავშვები მიყვარს და ისინი ამას გრძნობენ. მუშაობის დაწყების დღიდან დღემდე, არ გამჭირვებია მათთან ურთიერთობა, მთავარია იყო გულწრფელი, სამართლიანი, ობიექტური და დაიმსახურო მათი ნდობა.

*– როგორ შეაფასებთ დღევანდელ თაობას?*

– თქვენი თაობა უფრო თამამია და ცდილობენ დაიცვან საკუთარი უფლებები. ეს მომწონს, მაგრამ არც თავიანთი მოვალეობები არ უნდა დაივიწყონ კანონისა და ქვეყნის წინაშე, აუცილებელია, იყვნენ ტოლერანტები. ბევრ ნიჭიერ ბავშვს ვიცნობ წიგნის კითხვარომ ეზარება. ეს გლობალური პრობლემაა, მინდა მათ ვურჩიო – ფუჭად ნუ დაკარგავენ დროს.

*– დროის უკან დაბრუნება, რომ შეგეძლოთ, რას შეცვლიდით თქვენს ცხოვრებაში?*

– თითქმის ყველაფერს გარდა ერთისა, მე აუცილებლად ისევ ბავშვებთან ვიმუშავებდი, ჩემთვის ყველაზე დიდი ჯილდო მოსწავლეების ჩემდამი დიდი სიყვარულია.

*– რას ურჩევთ მოზარდებს?*

– საკუთარი თავის რწმენის პრობლემა, რომც გაჩნდეს, ნურასდროს შემინდებით, იბრძოლეთ თქვენი ცხოვრების წინ წასაწევად. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

*მოამზადა ელენე წითაშვილმა,*
*ორხანტის*
*საჯარო სკოლა*

# იმედი

გარეთ თოვდა. ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლის ალები ჩაბნელებულ კედლებს ათასფრად დახთამაშებდა. ჯადოსნურ ხმებს გამოსცემდა ამ ხმებში რამდენი დამე უთენებია. ჩაქინდრული თავი ასწია, სახეზე თბილად აეთამაშდა ცეცხლის ალები და ნაოჭებზე შემორჩენილი ცრემლის კვალი მარგალიტივით აუბრჭყვიალდა. თოვლი რომ მოვიდოდა, ერთად გავიდოდნენ ეზოში და უშველებელ თოვლის ბაბუას აღმართავდნენ. ასე იტყოდა ხოლმე – სანამ ფეხზე ვდაგავარ, თოვლის ბაბუას ყოველთვის ავღმართავ. იმხელას, რომ ებანში ბოლომდე ჩვენი შემორჩესო, ჩამტერებოდა აბრიალებულ ცეცხლს და ხედავდა მოგონებებში, გარეთ როგორ იზრდებოდა პატარა გუნდა უშველებელ თოვლის ბაბუად, მისი ხელებით ნაფერები. რას არ დათმობდა კაცი, ოღონდ მისი ნაკვალევი თოვლი ეხილა მის ეზოში...

გარეთ გასულს ეხიამოვნა „ცეცხლმოდებულ" სულს სათუთად რომ აღნობდა ფანტელები. ჭიშკარი გამოაღო, როგორ უმძიმდა იმის გახსენება, თუ როგორ მიიხურა ჭიშკარი... ის წავიდა! ისე, რომ, უკან არც მოუხედია, ენის წვერზე მიმდგარი სიტყვა „არ წახვიდე" ვერ გაბედა ეთქვა... არავის შეეძლო მისი სულის ტკივილის გაგება გარდა იმ ქალისა, მასზე მეტად, რომ სტკიოდა სული. ფეხქვეშ ეჭრაჭუნებოდა სპეტაკი თოვლი. მას შემდეგ ათეულობით წელმა ჩამოთოვა მის ეზოში, მუხლებში ძალა ელეოდა, აქოშინებული სვენებ-სვენებით მიაგორებდა თოვლის გუნდას – „ყველაზე დიდ თოვლის ბაბუას ავღმართავეთ" ჩაესმოდა ყურში და ეს ძალას მატებდა. ყველა შეეჩვია იმ ფაქტს, რომ ყოველ ზამთარს ბერიკაცი თოვლის ბაბუას აღმართავდა, მაგრამ არცერთს არ ესმოდა მისი, ადამიანებს უფრო მეტად ცნობისმოყვარეობა კლავთ ვიდრე ერთი ჩვეულებრივი მოკვდავის ბედი, სადღაც გულის კუნჭულში იმედი რომ არ ჩაქრობოდა, ბუხარში მბჟუტავი ნაკვერჩხალივით.

*ნატო წითაშვილი,*
*ორხანტის საჯარო სკოლის*
*ისტორიის მასწავლებელი*

მილოცვა

გაზეთი „ჩვენი თაობა" დიდი სიყვარულით ულოცავს ნატო წითაშვილს დაბადების დღეს (2 აპრილი).

„ჩვენი თაობა" მადლობას უხდის „თიბისი" ბანკის მენეჯერს გიორგი შენგელიას გაზეთის ამ ნომრის გამოცემაში შეტანილი წვლილისთვის.

*რედაქტორი:* ივდით ხაზალია (ივდო ოტობარი)
*გამომცემელთა ჯგუფი:* ივდით ხაზალია, ელენე წითაშვილი, მაიკო თოდუა, თეკლე ციკუტანია, ლიანა ესართია. *ხელმძღვანელ-კონსულტანტი:* ლიანა (ზურანდა) კვიტია.

*ჩვენთან დაკავშირების მსურველებს შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ*
*შემდეგ ნომერზე: 599 95 85 10,*
*ან ელექტრონულ ფოსტაზე* – **chveni.taoba@mail.ru**